ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4971535

ნომერი: AR1748206

თარიღი : 13.05.2020

გაცემის თარიღი : 03.06.2020

გაცნობის თარიღი : 03.06.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 61 , (ნაკვ 5/34);

დამკვეთი-განმცხადებელი

- რატი ხეცურიანი პ/ნ 49001002583
- თბილისი დიღმის მას. IV კვ. კორ. 9 ბ. 40

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 11 მაისის №4947050 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 13 მაისს №AR1748206 განცხადებით მომართა რატი ხეცურიანმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 11

მაისის №4947050 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ემუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 13 აპრილის №4927946 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, ქუჩა გორგასალი, №61-ში, (ნაკვ 5/34), №01.18.06.005.034 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობა/კომპლექსის (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი, კომერციული) არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 11 მაისის №4947050 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 12 მაისიდან 2024 წლის 12 მაისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 11 მაისის №4947050 ბრძანებით შეთანხმებულ კალენდარულ გრაფიკში ტექნიკური შეცდომის შედეგად არ იქნა აღნიშნული არსებული შენობების სადემონტაჟო სამუშაოები. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული კალენდარული გრაფიკის ჩანაცვლება წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკით.
სამსახურმა შეისწავლა საპროექტო დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ 2020 წლის 5 თებერვლის №AR1730995 განცხადებაზე წარმოდგენილ იქნა განმარტებითი ბარათი, რომლის მიხედვითაც საპროექტო ობიექტზე გათვალისწინებული იყო სადემონტაჟო სამუშაოები, შესაბამისად 2020 წლის 11 მაისის №4947050 ბრძანებით შეთანხმებულ კალენდარულ გრაფიკში ტექნიკური შეცდომის შედეგად გამორჩენილია არსებული შენობების სადემონტაჟო სამუშაოები.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 11 მაისის №4947050 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 11 მაისის №4947050 ბრძანებაში და ბრძანებით შეთანხმებული კალენდარული გრაფიკი ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 11 მაისის №4947050 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 11 მაისის №4947050 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.